

მე-3 კლასი

ძირითადი დავალებები (100 ქულა)

კანონზომიერება (20 ქულა)

- რა ფიგურა უნდა ეხატოს გამოტოვებულ ადგილზე? $V < \wedge > V \dots \wedge > V < \wedge >$
A) $<$ B) $>$ C) V
- გამოიცანით რა უნდა ეწეროს ?-ის ნაცვლად. 1, 5, 10, 16, ?
A) 20 B) 23 C) 25

გამოიანგარიშე (20 ქულა)

- 17 ივლისი იყო ხუთშაბათი. რა დღე იქნებოდა ამავე წლის 15 ივლისი? (5 ქულა)
A) შაბათი B) ორშაბათი C) სამშაბათი
- რამდენი წლის იქნება ანი 8 წლის შემდეგ, თუ ის 2 წლის წინ იყო 7 წლის? (5 ქულა)
A) 17 B) 15 C) 9
- მაღაზიაში იყიდება 6 საზამთრო წონებით: 3კგ, 5კგ, 5კგ, 5კგ, 6კგ, 8კგ. არჩილი 20კგ-ზე მეტს ვერ ძრავს. ყველაზე მეტი რამდენი კილოგრამის წაღებას შეძლებს ის ერთ ჯერზე, თუ საზამთროების გაჭრა არ შეუძლია? (10 ქულა)
A) 20 B) 19 C) 18

ლოგიკა (30 ქულა)

- ყუთში 8 შავი და 7 თეთრი ბურთი იდო. ყუთიდან ამოვიღეთ 1 ბურთი და ყუთში თეთრი და შავი ბურთები თანაბრად დარჩა. რომელი ბურთი ამოგვიღია ყუთიდან?
A) შავი B) თეთრი C) ვერ დავადგენთ
- ქვემოთ მოცემული თანხიდან რომლის დახურდავებას ვერ შევძლებთ მხოლოდ 10 თეთრიანებად?
A) 70თ B) 65თ C) 40თ
- ერთ კინდერში 5 სათამაშო ამოდის. ლუკამ რამდენიმე კინდერი იყიდა და 11-ზე მეტი სათამაშო მოაგროვა. მაშინ მას აუცილებლად ექნება სულ მცირე
A) 15 სათამაშო B) 17 სათამაშო C) 21 სათამაშო

რეზუსი (30 ქულა)

- გამოიცანით რას უდრის N, თუ $5 + N = 11$
A) 8 B) 6 C) 5
- $\otimes = 5$, $\oplus = 3$. რას უდრის $\otimes + \otimes + \oplus + \oplus + \oplus$?
A) $\otimes + \otimes + \otimes + 1$ B) $\otimes + \otimes + \otimes + \oplus$ C) $\otimes + \otimes + \otimes + \oplus + 1$

ბონუს დავალებები (30 ქულა)

შეკითხვები ფინანსური განათლებიდან:

- მარიამს მშობლებმა ჯიბის ფულის სახით 10 ლარი მისცეს, ბებიამ კი მას დამატებით 5 ლარი აჩუქა. ამის შემდეგ, მარიამმა თავის ძმას 4 ლარი მისცა. საბოლოოდ, რამდენი ლარი აქვს ახლა მარიამს?
A) 15 B) 11 C) 19
- ნიკას სათამაშო მატარებლის ყიდვა უნდა. სახლთან ახლოს, სათამაშოების მაღაზიაში მატარებელი 30 ლარი ღირს, ხოლო საზღვარგარეთ ინტერნეტ-მაღაზიაში სათამაშოს ფასი 20 ლარი გამოდის, საქართველოში ჩამოტანა დამატებით 10 ლარი ჯდება. რომელ შემთხვევაში დახარჯავს ნიკა ნაკლებ თანხას?
A) თუ იყიდის სათამაშოს სახლთან ახლოს მაღაზიაში B) თუ გამოიწერს სათამაშოს ამერიკიდან
C) ორივე შემთხვევაში ერთნაირ თანხას დახარჯავს

ლიდერი კომპანიების კითხვები მომავალ ლიდერებს:

„კრისტალის“ ბონუს კითხვა:

- ნიკა სახლიდან 3 საათით გავიდა და სინათლის ჩაქრობა დაავიწყდა. რა თანხით მეტის გადახდა მოუწევს ელექტროენერგიაში ამის გამო, თუ 1 საათში 1 თეთრის ღირებულების ელექტროენერგია იხარჯება?
A) 3 თეთრით B) 2 თეთრით C) 1 თეთრით

„ლიბერთი ბანკის“ ბონუს კითხვა:

- ირაკლიმ 2 წლის წინ ლიბერთი ბანკში ანაბარი გახსნა. რამდენი წლისაა ის ახლა, თუ მაშინ 17 წლის იყო?
A) 15 B) 17 C) 19

„ბიუ-ბიუს“ ბონუს კითხვა:

- „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქცია საქართველოს მასშტაბით ხელმისაწვდომია შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ხაშური, გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი. საქართველოს მასშტაბით, სულ რამდენ ქალაქში ყოფილა შესაძლებელი „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქციის შექმნა?
A) 5 B) 6 C) 7

წარმატების კიდევ ერთი შანსი მაგთისგან * :

- ნიკუშა მაგთიკომის მომხმარებელია და მისი ტელეფონის ნომერი იწყება შემდეგი ციფრებით: 599000___. შეიძლება თუ არა, დანარჩენი 3 ციფრი ისე შევარჩიოთ, რომ ნიკუშას ტელეფონის ნომრის ციფრთა ჯამი 23-ს უდრიდეს?
A) კი B) არა C) ვერ დავადგენთ

* გაეცი ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მზ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.